ხელშეკრულება № 55/3
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი

25 თებერვალი 2013 წ.

ერთის მხრივ, სსიპ "ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი" (შემდგომში – შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის მარინა მესხის სახით და მეორეს მხრივ, შ.პ.ს. "სერვისკომი", წარმოდგენილი მისი დირექტორის ჰასან ჩელიქის სახით ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების ობიექტი

1.1. ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის მიერ, მიმწოდებლისაგან 2013 წლის საბიუჯეტო სახსრების ფარგლებში, 45 ცალი 20 ლარიანი ნომინალის და 45 ცალი 10 ლარიანი ნომინალის ლაი-ლაი ბარათების (შესყიდვის ობიექტის ერთგვაროვნება – სატელეკომუნიკაციო მომსახურებები - CPV-64200000, CPV-64212900-წინასწარი გადახდის ბარათებიანი ტელეფონის პროვაიდერული მომსახურება) შესყიდვა.

2. ღირებულება

2.1. „შესყიდვის ობიექტი"-ს ღირებულება შეადგენს 1350 (ერთი ათას სამას ორმოცდაათი) ლარს, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადებისა და გადასახდელების ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

3.1. „შესყიდვის ობიექტი"-ს მიწოდება შემსყიდველისათვის მოხდება ქ. თბილისში, პეკინის ქ. №24-ში.

3.2. შემსყიდველისათვის „შესყიდვის ობიექტი"-ს გადაცემა განხორციელდება შემსყიდველის მოთხოვნისთანავე.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემსყიდველის ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ „შესყიდვის ობიექტი"-ს მიღება ფორმდება შესაბამის სასაქონლო ზედნადებზე და მიღება ჩაბარების აქტზე ხელის მოწერით.

5. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

5.1. „შესყიდვის ობიექტი"-ს ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ლარებში.

5.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული „შესყიდვის ობიექტი"-ს ღირებულება „შესყიდვის ობიექტი"-ს მიწოდებიდან, მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში.

5.3. ანაზღაურების ადგილია ქ. თბილისი.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. „შემსყიდველს" უფლება აქვს:

– შეამოწმოს „შესყიდვის ობიექტი"-ს შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

– განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

6.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:

– წერილობით აცნობოს „მიმწოდებელს" „შესყიდვის ობიექტი"-ს მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;

– მოახდინოს ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან" ხელშეკრულებით გათვალისწნებული პირობების შესაბამისად;

6.3 „მიმწოდებელს" უფლება აქვს:

– მოსთხოვოს „შემსყიდველს“ მიწოდებული “შესყიდვის ობიექტი“-ს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;
6.4. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:
– დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

7.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
7.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შეუსრულებლობისთვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებით ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა).
7.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
7.4. ხელშეკრულების გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობა.
7.5. გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია დააკისროს „შემსყიდველს“ პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,1 %-ის ოდენობით.
7.6. მიმწოდებლის მიერ შესყიდვის ობიექტის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში მიუწოდებლობას ან არაჯეროვანი მიწოდების შემთხვევაში „შემსყიდველი“ უფლებამოსილია დააკისროს „მიმწოდებელს“ პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სეუსრულებელი ვალდებულების 0,1%-ის ოდენობით.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ თავიანთი ვალდებულებების ჯეროვნად და სრულად შესრულებამდე.

9. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებობა

9.1. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა დასაშვებია მხოლოდ მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.
9.2. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება ძალაშია მხარეთა მიერ მისი წერილობით გაფორმების შემდეგ.

10. ფორს-მაჟორი

10.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორსმაჟორული გარემოებებით (სტიქიური უბედურებები, საომარი მოქმედებები და სხვა, აგრეთვე საბიუჯეტო ასიგნებიდ მკვეთრი შემცირება). ასეთ შემთხვევაში ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით გარემოებათა დასარულების შემდეგ.
10.2. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს მეორე მხარეს ამის შესახებ.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე. შეთანხმების მიუღწევლობის შემთვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

12.1 „შემსყიდველი“ უფლებამოსილია “შესყიდვის ობიექტი“-ს მიწოდების პარალელურად მოახდინოს მიწოდებული “შესყიდვის ობიექტი“-ს შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

12.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ „შემსყიდველი“ დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს „მიმწოდებელს“ დაწუნებული “შესყიდვის ობიექტი“-ს რაოდენობისა და წუნდების მიზეზების მითითებით.

12.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს“ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12.4 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების ინსპექტირებაზე უფლებამოსილი და პასუხისმგებელი პირია დირექტორის შესაბამისი ბრძანებით განსაზღვრული უფლებამოსილი პირი.

13. სხვა პირობები

13.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა. ერთი ეგზემპლარი ინახება “მიმწოდებელთან”, ერთი ეგზემპლარი გადაეცა “შემსყიდველს”. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“
სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი”
ქ. თბილისი თამარაშვილის №15 ა
სახელმწიფო ხაზინა
კოდი № TRESGE22
ა/ა № GE24NBO330100200165022
ს/კ № 205169592

მარინა მესხი
დირექტორი

„მიმწოდებელი“
შპს „სერვისკომი“
ქ. თბილისი, პეკინის ქ №24
ს/ს „ვი-თი-ბი ბანკი ჯორჯია"-ს
ცენტრალური ფილიალი ბანკის
კოდი №UGEBGE22
ა/ა # GE83VT6600000024903608
ს/კ204998119

ჰასან ჩელიქი
დირექტორი